საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 16 თებერვალი, 2022 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/18

„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №04-01/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და ბხსუ-ს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ ნ.კვირკველიას მოხსენებითი ბარათის (N146, 04.02.2022) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 მაისის № 04-01/19 დადგენილებაში (დანართი 1) და წესის:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, დადასტურებული შესაბამისი სერტიფიკატით ან სხვა დოკუმენტით, ასევე საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.“

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ.ჭიჭილეიშვილი**